

დმანისის ციფრული ეპიგრაფიკული კორპუსის სტანდარტიზებული კონტროლირებადი ლექსიკონი და პროსოპოგრაფიული კვლევა

ნათია სადღოზელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე ლინგვისტის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დობორჯგინიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია სადღობელაშვილი 22.06.2018

ნ.სადღობელაშვილი

აბსტრაქტი

ტექნოლოგიური სამყაროს სწრაფმა განვითარებამ ჰუმანიტარული მეცნიერებები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, ხოლო მეორე მხრივ, მისცა შესაძლებლობა შეექმნა ახალი კვლევის მეთოდები და მიდგომები ელექტრონული ხელსაწყოების საშუალებით, რაც ამარტივებს კვლევას დროის თვალსაზრისით და შედეგს აძლევს მეტ სანდობაას, შეცდომის დაშვების ყველაზე ნაკლები ალბათობით. დღეს, მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო კლევითი ცენტრები თავინთ კვლევებს სწორედ ციფრული ხელსაწყოების საშუალებით ახორციელებენ, მაგალითად, კორპუსის ლინგვისტიკაში, ციფრულ ეპიგრაფიკაში, პროსოპოგრაფიაში, თანაც ისე რომ ინფრომაცია არ არის ჩაკეტილი და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია, რაც ციფრული კვლევების კიდევ ერთი დიდი უპირატესობაა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოშიც თანამედროვე ციფრულ მეთოდებზე დამყარებული კვლევები ახალ საფეხურზე ავიდეს და წარმოჩნდეს ამ მეთოდის როგორც უპირატესობები, ისე აუცილებლობა. მაგალითისთვის, დმანისის ციფრული ეპიგრაფიკული კორპუსი გვაძლევს შესაძლებლობას ერთ ბაზაში ვნახოთ ის ისტორიულ-კულტურული ეპიგრაფიკული მემკვიდრეობა, რომელიც ამ მხარეშია აღმოჩენილი, თანაც ისე, რომ დაწვრილებით შევიქმნათ წარმოდგენა ობიექტზე თავისი შინაარსის, თარიღის, განთავსების, დაზიანების, მასალის შესახებ. ასეთივე საინტერესო და მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ვინ არიან ეპიგრაფიკულ წარწერებში მოხსენებული პირები, რას უნდა უკავშირდებოდეს მათი მოხსენება ეპიგრაფიკულ დოკუმენტებში და რა სოციალურ ჯგუფს ქმნიან, აღნიშნულის საკვლევადაც ციფრული ჰუმანიტარია გვთავაზობს კვლევის მეთოდს, რომელსაც ციფრული კონტროლირებადი ლექსიკონი ჰქვია და რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ერთ ბაზაში მოვათავსოთ წარწერებში დასახელებული პირები გავავლოთ პარალელები მათ შორის და ვისარგებლოთ ციფრული ჰუმანიტარიის მთავარი Linked Data-ს პრინციპით. მეორე და მნიშვნელოვანი სამუშაოა პროსოპოგრაფიული კვლევა, რისი მეშვეობითაც გვეძლევა

შესაძლებლობა კონკრეტული სოციალური ჯგუფის ბიოგრაფიების საფუძველზე აღვადგინოთ ისტორიული სურათი, გამოვყოთ სოციალური მარკერები და კლასები.

ამ ტიპის კვლევების ჩატარება მრავალმხრივ არის საჭირო და აუცილებელი, პირველ რიგში იმისთვის, რომ გავხდეთ თანამედროვე კვლევითი მეთოდების მომხმარებლები, ამ მეთოდების საშუალებით დავიცვათ და გავაცნოთ მსოფლიოს საკუთარი კულტურული მემკვიდრეობა, საფუძველი დავუდოთ ახალ კვლევებს. დმანისის, როგორც უძველესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, და მრავალეთნიკური მოსახლეობითა და მდიდარი ეპიგრაფიკული მასალთ სავსე მხარე საუკეთესოდ წარმოაჩენს ასეთი მიდგომებით მუშაობის აუცილებლობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ციფრული ჰუმანიტარია, ციფრული ეპიგრაფიკა, კონტროლირებადი ლექსიკონი, პროსოპოგრაფიული კვლევა

Abstract

Humanitarian sciences faced new challenges due to the technological development. It gives us opportunities to create new research methods. Firstly, technologies take our time, secondly, give us faithful results and reduce the chance of mistakes. Nowadays modern Scientific researches Centers conduct researchs with digital device, in linguistics, digital epigraphy and prosopography as well. We have to mention that information is absolutely available for everyone and this is the most essential fact about digital research. It is very important for Georgia to develop digital researchs and to admit its advantages. For enchance, digital corpus epigraphy of Dmanisi give us opportunities to search historical, cultural and epigraphical inheritance in the same program. Moreover, It is possible to perceive the real picture with its content, material and damages, as well. Also It is vital to know who is mentioned in epigraphy document. Why they are mentioned and which social group did they create. To answer all this questions, digital epigraphy offers new research method- It is called Authority List. It helps us to gather all persons mentioned in epigraphy, match them and use Linked Data principle. Furthmore, another important issues is prosopographical research. It can be used to recover real picture of an old historical biography and separate it into different social segments. Conducting this type of research is essential for some reasons. On one hand, it force us to become program users, on the other hand, to protect and show our cultural inheritance to the world . With its historical and cultural masterpieces Dmanisi is the best example to use modern technology methods.

Key Words: Digital Humanities, Digital epigraphy, Authority List, Research Prosopography

მადლობა

გულითად მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო თანახელმძღვანელს, გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრს, თამარ კალხიტაშვილს, გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.